# ტურიზმის განვითარების პერსპექტივები პანდემიის პერიოდში

*ლაშა-გიორგი დათაშვილი*
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი**
*მარიამ დათაშვილი*
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ- პროფესორი**
*თამთა თაგუკაშვილი*
**ეკონომიკის დოქტორი**

**ანოტაცია**

ტურიზმი - დასვენების, გართობის, თავისუფალი დროის ხარჯვის ან ბიზნეს მიზნებით მოგზაურობის ფორმა. ტურისტის არსს და მნიშვნელობას მსოფლიოს საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაცია ასე განმარტავს: „ეს არის ადამიანის გადაადგილება დროსა და სივრცეში საკუთარი საცხოვრებელი ადგილისგან მოშორებით, არანაკლებ 24 საათისა და არაუმეტეს 365 დღისა“. გარდა ამისა ტურისტი არ უნდა იღებდეს არანაირ ანაზღაურებას იმ ქვეყანაში, სადაც ის ტურისტული მიზნებით ჩავიდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ტურისტად აღარ ჩაითვლება. ტურიზმი მოიცავს განვითარების ოთხ ეტაპს, ესენია:1.დასაბამიდან მეთვრამეტე საუკუნემდე; 2.მეთვრამეტე საუკუნიდან პირველ მსოფლიოს ომამდე; 3.პირველი მსოფლიო ომიდან მეორე მსოფლიო ომამდე; 4.მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე. ტურისტებს მოგზაურობის სხვადასხვა მიზნები ამოძრავებთ: სპორტული; საგანმანათლებლო; პროფესიული; რელიგიური და სხვა. საბოლოო ჯამში ნებისმიერი ტურისტული მიმართულების ტურისტებს აერთიანებთ ის, რომ ისინი ცდილობენ გაექცნენ ყოველდღიურ ტურინას და მათი დასვენებისა თუ შვებულების პერიოდი გამოიყენონ მაქსიმალურად ეფექტურად.

მსოფლიო პანდემია, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც COV19 და რომელიც დაიწყო 2019 წლის ბოლოს, მან შეცვალა სრულიად მსოფლიო, შეცვალა ადამიანების ცხოვრების წესი და ყოველდღიურობა. უდიდესი ზარალი მიადგა თითოეული ქვეყნის ეკონომიკას, დაზარალა თითქმის ყველა კერძო სექტორი და რაც ყველაზე საგანგაშოა ამ ვირუსით გარდაიცვალა უამრავი ადამიანი მსოფლიოში. არც ტურიზმი ყოფილა გამონაკლისი და ჩ V19-მა მასაც დიდი დარტყმა მიაყენა. შეწყდა მოგზაურობები, შეწყდა საერთაშორისო ფრენები და გაჩერდა ტურიზმიც. რაც შეეხება რელიგიურ ტურიზმს, მიუხედავად იმისა, რომ არც ის ყოფილა გამონაკლისი და როგორც სხვა ყველაფერი ეს დარგიც გაჩერდა და დაზარალდა, პანდემიამ ამ დარგს ახალი შესაძლებლობები წარმოუჩინა.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, პანდემია, მოგზაურობა,

ტურიზმი - დასვენების, გართობის, თავისუფალი დროის ხარჯვის ან ბიზნეს მიზნებით მოგზაურობის ფორმა. ტურისტის არსს და მნიშვნელობას მსოფლიოს საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაცია ასე განმარტავს: „ეს არის ადამიანის გადაადგილება დროსა და სივრცეში საკუთარი საცხოვრებელი ადგილისგან მოშორებით, არანაკლებ 24 საათისა და არაუმეტეს 365 დღისა“. გარდა ამისა ტურისტი არ უნდა იღებდეს არანაირ ანაზღაურებას იმ ქვეყანაში, სადაც ის ტურისტული მიზნებით ჩავიდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ტურისტად აღარ ჩაითვლება. ტურიზმი მოიცავს განვითარების ოთხ ეტაპს, ესენია:1.დასაბამიდან მეთვრამეტე საუკუნემდე; 2.მეთვრამეტე საუკუნიდან პირველ მსოფლიოს ომამდე; 3.პირველი მსოფლიო ომიდან მეორე მსოფლიო ომამდე; 4.მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე. ტურისტებს მოგზაურობის სხვადასხვა მიზნები ამოძრავებთ: სპორტული; საგანმანათლებლო; პროფესიული; რელიგიური და სხვა. საბოლოო ჯამში ნებისმიერი ტურისტული მიმართულების ტურისტებს აერთიანებთ ის, რომ ისინი ცდილობენ გაექცნენ ყოველდღიურ ტურინას და მათი დასვენებისა თუ შვებულების პერიოდი გამოიყენონ მაქსიმალურად ეფექტურად.

მსოფლიო პანდემია, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც COV19 და რომელიც დაიწყო 2019 წლის ბოლოს, მან შეცვალა სრულიად მსოფლიო, შეცვალა ადამიანების ცხოვრების წესი და ყოველდღიურობა. უდიდესი ზარალი მიადგა თითოეული ქვეყნის ეკონომიკას, დაზარალა თითქმის ყველა კერძო სექტორი და რაც ყველაზე საგანგაშოა ამ ვირუსით გარდაიცვალა უამრავი ადამიანი მსოფლიოში. არც ტურიზმი ყოფილა გამონაკლისი და COV19-მა მასაც დიდი დარტყმა მიაყენა. შეწყდა მოგზაურობები, შეწყდა საერთაშორისო ფრენები და გაჩერდა ტურიზმიც. რაც შეეხება რელიგიურ ტურიზმს, მიუხედავად იმისა, რომ არც ის ყოფილა გამონაკლისი და როგორც სხვა ყველაფერი ეს დარგიც გაჩერდა და დაზარალდა, პანდემიამ ამ დარგს ახალი შესაძლებლობები წარმოუჩინა.

ტურიზმი თანამედროვე სამყაროში განიხილება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, რომელიც პირდაპირ და ირიბ გავლენას ახდენს ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. თანამედროვე ტურიზმი დაფუძნებულია ტრანსპორტის, სოციალური და მომსახურების სექტორების განვითარების მაღალ დონეზე, რაც საბოლოოდ აქცევს მას ეკონომიკის მაღალ მომგებიან სექტორად.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (WTO) მონაცემებით, დღეს ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი და ყველაზე დინამიური სექტორია. მომგებიანობის მხრივ ის მსოფლიოში მეორე ადგილზეა ნავთობის მოპოვების და გადამუშავების შემდეგ. ტურიზმზე მოდის მსოფლიოს მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 6%, გლობალური ინვესტიციების 7%, ყოველი მე-16 სამუშაო ადგილი, გლობალური სამომხმარებლო ხარჯების 11% და მთელი საგადასახადო შემოსავლების 5%. ამ მხრივ, ბევრ ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრია აქტიურად ვითარდება სახელმწიფო მხარდაჭერით.

ტურისტული მოთხოვნა არის მასობრივი და სოციალური კატეგორია. იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს მრავალი ფაქტორის საფუძველზე, რომელთა ზემოქმედება გაზარდის ან შეამცირებს მოთხოვნას. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა ტურიზმის ბაზარზე მოთხოვნის ცვლილებაზე, შემდეგია:

ზოგადი ეკონომიკური ფაქტორები: მასობრივი მომხმარებლის მატერიალური კეთილდღეობის დონე; სამუშაო და თავისუფალი დროის თანაფარდობა მშრომელ მოსახლეობას შორის; სპეციალური საინვესტიციო ზონები; ტურიზმის განვითარების პროგრამების შემუშავება.

სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები: ასაკი; პროფესია; განათლება; ოჯახური მდგომარეობა; ქონებრივი მდგომარეობა; საცხოვრებელი რეგიონი და ა.შ.

კულტურული და სოციალურ ფსიქოლოგიური სახის ფაქტორები: პრიორიტეტები; სულიერი ფასეულობები; ფსიქოლოგიური განწყობა და ა.შ.

პიროვნული ფაქტორები: პიროვნული მახასიათებლები; ცხოვრების წესი; ინტერესები თავისუფალ დროს; სულიერი ღირებულებები; მოტივი.

ტურისტულ ბაზარს შეუძლია მრავალი ფუნქციის შესრულება: საინფორმაციო; შუამავალი; მარეგულირებელი; ფასწარმოქმნის; მასტიმულირებელი; კრეატიულ-დესტრუქციული და დიფერენცირებული. თუმცა მის ფუნდამენტურ ფუნქციებად უნდა განვიხილოთ შემდეგი ფუნქციები:

1) ტურისტული პროდუქტის შემცვლელი ღირებულებისა და სამომხმარებლო ღირებულების რეალიზაცია;
2) ტურისტული პროდუქტის მომხმარებლამდე (ტურისტამდე) მიტანის პროცესის ორგანიზება;
3) სამუშაოს მატერიალური წახალისების ეკონომიკური უზრუნველყოფა;

ტურიზმის ინდუსტრიას აქვს უნიკალური სტრუქტურა, მას ახასიათებს მთელი რიგი ელემენტების არსებობა, მათ შორის სხვადასხვა სერვისის ინდუს ტ რია: პატარა რესტორნები; მოტელები; სასტუმროები; დასასვენებელი სახლები; სამრეცხაოები; მაღაზიები და ა.შ.

ტურისტები ძირითადად სხვადასხვა ქვეყნებიდან და სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოდიან და მათი დანახარჯები მასპინძელი მთავრობისთვის გულისხმობს საგადასახადო ბაზის გაფართოებას. აეროპორტისა და ვიზის გადასახადი; შესვლისა და საბაჟო გადასახა-

დები მხოლოდ რამდენიმე მაგალითია ტურისტების დაბეგვრისა.

გარდა ამ შემოხვევებისა, ტრადიციული საგადასახადო შემოსავლები იზრდება ტურისტული ხარჯებით. ამრიგად, ტურიზმის ზრდის რეგიონის შემოსავალს, ზრდის დასაქმებას, ინვესტიციებს და ა.შ.

პანდემიის გამო მთელ მსოფლიოში ეკონომიკური საქმიანობების დიდი ნაწილი არასრულფასოვნად ფუნქიონირებდა რამაც თავის მხრივ გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი და გარკვეული დარგების შეფერხებით მუშაობა ან სრულად გაჩერება. სწორედ ტურიზმის სექტორი მოხვდა იმ ეკონომიკრ დარგებს შორის რომლებმაც პანდემიის დროს ფაქტიურად შეაჩერეს ფუნქციონირება, რამაც გამოიწვია ბევრი მცირე მოთამაშის ადგილობრივი ბაზრიდან გაქრობა. პანდემიის დამთავრების შემდგომ საქართველოს ტურისტულ ბაზარზე გამოჩნდა ბევრი ახალი მონაწილე რომლებმაც ჩაანაცვლეს პანდემიის გამო გაჩერებული კომპანიები, ასევე ბაზარზე დარჩენილმა ძველმა მონაწილეებმა დაიწყეს ბაზრის უფრო აგრესიული ათვისება რის შედეგადაც მათ მოახერხეს ბაზარზე თავიანთი წილის გაზრდა და გარკვეულ წილად კონკურენციის შემცირება.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 7.3% 2016 წელს ტურიზმის სექტორის მიერ წარმოებული https://tabula.ge/ge.
2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია-ქართული ტურიზმი ციფრებში. GNTA (2015).
3. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია- GNTA.
4. სამეცნიერი ჟურნალი „ახალგაზრდა მეცნიერი“- https://moluch.ru› archive
5. ტურიზმი პანდემიის შემდგომ- https://media.casaderusia.es/ru-article/kulturnyy-turizm-posle-pandemii-vozvrashchenie-iz-virtualnogo-prostranstva.


## PROSPECTS OF TOURISM DEVELOPMENT DURING THE PANDEMIC


***Lasha-Giorgi Datashvili,***
***Mariam Datashvili***
***Tamta Tabukashvili***



**Abstract**

Tourism is a form of travel for recreation, entertainment, leisure or business purposes. The essence and importance of the tourist is defined by the International Tourism Organization as follows: “It is the movement of a person in time and space away from his place of residence, not less than 24 hours and not more than 365 days”. In addition, the tourist should not receive any remuneration in the country where he has visited for tourist purposes. Otherwise, he will not be considered as a tourist. Tourism includes four stages of development, ie: 1. From the beginning to the eighteenth century; 2. From the eighteenth century to the First World War; 3.World War I to World War II; 4.From World War II to present. Tourists are driven by different travel purposes: sports; educational; professional; religious and others. Ultimately what unites tourists of any tourist destination is that they try to escape from everyday Turin and make the most of their rest or vacation period.

The global pandemic, which entered history as COV19 and which began at the end of 2019, has changed the entire world, changing people’s lifestyles and daily routines. The economy of each country has suffered huge losses, almost all private sectors have been affected and most alarmingly, many people have died from this virus in the world. Tourism is no exception and COV19 has also hit it hard. Travels have stopped, international flights have stopped and tourism has also stopped. As for religious tourism, even though it was not an exception and like everything else this industry has stalled and suffered, the pandemic has created new opportunities for this industry.

# სოციალური ეკონომიკა

## XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

## 3-4

## (ჟურნალის დამატება)